ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2

2015 წლის 6 იანვარი

ქ. ოზურგეთი

,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ''- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №37 დადგენილებაში (ვებგვერდი, 20/11/2014 სარეგისტრაციო კოდი (010250000.35.171.016037) და დადგენილების პირველი, მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 1.** განისაზღვროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობრივი სარგო 2750 ლარის ოდენობით.

,,**მუხლი 2.** განისაზღვროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო 2750 ლარის ოდენობით.

,,**მუხლი 3.** დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **გელა კობალაძე**
თავმჯდომარე